სასწავლო პროექტი X კლასში

<table>
<tr><td>პროექტის სახელწოდება</td><td>Important Periods in Classical Music and Famous Composers
(მნიშვნელოვანი პერიოდები კლასიკურ მუსიკაში და ცნობილი კომპოზიტორები)</td></tr>
<tr><td>მონაწილეთა ასაკი</td><td>15 – 16 წელი</td></tr>
<tr><td>პროექტის ვადები/ხანგრძლივობა</td><td>3 კვირა (26 თებერვალი - 19 მარტი)
<table>
<tr><th rowspan="2">№</th><th rowspan="2">პროექტის მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი</th><th colspan="3">სამუშაოს შესრულების გეგმის გაწერა კვირეების მიხედვით</th><th rowspan="2">სამუშაოზე პასუხისმგებელი პირი/პირები</th></tr>
<tr><th>I</th><th>II</th><th>III</th></tr>
<tr><td>1</td><td>პროექტის თემის შერჩევა</td><td>✓</td><td></td><td></td><td>მასწავლებელი</td></tr>
<tr><td>2</td><td>მოსწავლეთათვის პროექტის მიზნებისა და შეფასების რუბრიკის გაცნობა</td><td>✓</td><td></td><td></td><td>მასწავლებელი</td></tr>
<tr><td>3</td><td>მოსწავლეთა დაყოფა 3 ჯგუფად</td><td>✓</td><td></td><td></td><td>X კლასის მოსწავლეები</td></tr>
<tr><td>4</td><td>დავალებების განაწილება</td><td>✓</td><td></td><td></td><td>მასწავლებელი
X კლასის მოსწავლეები</td></tr>
<tr><td>5</td><td>ინფორმაციის მოძიება</td><td></td><td>✓</td><td></td><td>X კლასის მოსწავლეები</td></tr>
<tr><td>6</td><td>კომპოზიტორთა მუსიკალური ნაწარმოებების მოძიება</td><td></td><td>✓</td><td></td><td>X კლასის მოსწავლეები</td></tr>
<tr><td>7</td><td>შუალედური მონიტორინგი (ინდივიდუალური შეხვედრა მოსწავლეებთან, მოძიებული ინფორმაციის განხილვა და რჩევების მიცემა)</td><td></td><td>✓</td><td>✓</td><td>მასწავლებელი</td></tr>
<tr><td>8</td><td>მუშობა პრეზენტაციაზე Power Point საპრეზენტაციო</td><td></td><td></td><td>✓</td><td>X კლასის მოსწავლეები</td></tr>
</table></td></tr>
</table>

	პროგრამის გამოყენებით				
8	პოსტერების დამზადება			✓	X კლასის მოსწავლეები
9	პროექტის პრეზენტაცია და შეჯამება			✓	X კლასის მოსწავლეები
11	მოსწავლეთა შეფასება/ თვითშეფასება			✓	მასწავლებელი, X კლასის მოსწავლეები

პროექტის აქტუალობა	პროექტის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მოსწავლეებს მწირი ინფორმაცია აქვთ კლასიკურ მუსიკაზე, აღნიშნული პრობლემა გამოვლინდა სახელმძღვანელო წიგნში კლასიკურ მუსიკასთან დადაკავშირებული გაკვეთილის გავლისას, მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი გაეგოთ მეტი აღნიშნულ საკითხზე და გადავწყვიტეთ სასწავლო პროექტის გაკეთება
პროექტის მიზნები	● მოსწავლეები გაეცნონ მნიშვნელოვან პერიოდებს კლასიკურ მუსიკაში და ცნობილ კომპოზიტორებს, ასევე გაეცნომნ მათ მუსიკალურ ნაწარმოებებს ● მოიძიონ და დაახარისხონ ინფორმაცია ● გააკეთონ პოსტერები სურათებითა და მნიშვნელოვანი ინფორმაციით ● განუვითარდეთ ისეთ უნარები, როგორიცაა თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ასევე, გადაწყვეტილების მიღების, მსჯელობის, დასკვნების გაკეთების და კრეატიული აზროვნების უნარები ● შეძლონ პრეზენტაციის გაკეთება Power Point საპრეზენტაციო პროგრამის გამოყენებით.
ე.ს.გ–ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები (ინდიკატორები)	**უცხ.ს.V.4. მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს სხვადასხვა სახის დარგობრივი შემეცნებითი ტექსტი (*ისტორიის, კულტურის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, ეკოლოგიის და სხვა სფეროდან*).** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს; ● ტექსტს ყოფს შინაარსობრივ ნაწილებად;

	• აჯგუფებს ინფორმაციას სხვადასხვა ნიშნით; **უცხ.ს.V.5. მოსწავლეს შეუძლია ბიოგრაფიის წაკითხვა და გაგება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • განსაზღვრავს მოვლენათა დროსა და ადგილს (*ეპოქა, დაბადების დრო და ადგილი და სხვა*); • ასახელებს პიროვნების მოღვაწეობის სფეროს, რომელშიც გაითქვა სახელი; • ამოიცნობს კარიერის ეტაპებს; • ტექსტში მოცემული ინფორმაციის (*საქმიანობის, ურთიერთობის, ქცევის*) გააზრების საფუძველზე ახასიათებს პიროვნებას. **უცხ.ს.V.18. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი მოხსენების წარმოდგენა (*პრეზენტაცია*) მისთვის საინტერესო თემაზე.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ასახელებს თემას; • შესავალ ნაწილში წარმოადგენს განსახილველ საკითხებს; • მოჰყავს ფაქტები, მაგალითები; • საუბრისას იყენებს ვიზუალურ მასალას; • თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს; • გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კონკრეტული ინფორმაციისადმი/ განსახილველი საკითხისადმი; • გამოაქვს დასკვნა. **უცხ.ს.V.22. მოსწავლეს შეუძლია უცხოური ენის ცოდნის საგანმანათლებლო მიზნით გამოყენება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • უცხოურ ენაზე განახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტს • შეისწავლის უცხოენოვან წყაროებს და სწავლების ენაზე წერს ანოტაციას თითოეულ მათგანზე (*მიუთითებს ავტორს, სათაურს, გამოცემის წელს, თემას/მთავარ საკითხებს*); **უცხ.ს.V.27. მოსწავლეს შეუძლია თანამშრომლობა თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მეწყვილესთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ამხნევებს მეწყვილეს, თანაგუნდელებს; • ითხოვს/სთავაზობს დახმარებას; • მოქმედებს გუნდის წევრებთან შეთანხმებულად, მსჯელობს თანაგუნდელებთან პრობლემის გადასაჭრელად, ფუნქციების გასანაწილებლად; • ისმენს სხვების მოსაზრებებს, გამოთქვამს საკუთარს;

	• უთანხმოებისას ცდილობს შეთანხმების მიღწევას; • ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში; • საჭიროებისამებრ მონაწილეობს მეწყვილის/გუნდის წევრების თანაშეფასებაში; • კორექტულად მიუთითებს სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებზე; • მონაწილეობს თანაშეფასებაში შედეგების გაუმჯობესების ხელშესაწყობად.
მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები, რაც შეიძლება შეიქმნას	მოსწავლეები გაეცნობიან მნიშვნელოვან პერიოდებს კლასიკურ მუსიკაში და ცნობილ კომპოზიტორებს, ასევე გაეცნობიან მათ მუსიკალურ ნაწარმოებებს. მოიძევენ ინფორმაციას მათ შესახებ და დაახარისხებენ. ამის შემდეგ გააკეთებენ პოსტერებს. მუშაობის პროცესში განუვითარდებათ თანამშრომლობის, გადაწყვეტილების მიღების, მსჯელობის, დასკვნების გაკეთების, კრეატიული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარი. გააკეთებენ პრეზენტაციას Power Point საპრეზენტაციო პროგრამის გამოყენებით. თუკი მათ მომავალში ექნებათ შეხება კლასიკურ მუსიკასთან ისინი შეძლებენ გამოიყენონ პროექტის შედეგად მიღებული ინფორმაცია.
პროექტისათვის საჭირო ძირითადი რესურსები	ინტერნეტი, კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, ფორმატის ქაღალდები, წებო, ფერადი მარკერები და ფანქრები, სურათები, ფოტოაპარატი
პროექტის მსვლელობა (ძირითადი აქტივობები);	1. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს პროექტის თემას და შეიმუშავებენ სამუშაო გეგმას. 2. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პროექტის მიზნებს და შეფასების რუბრიკას (იხ.დანართი 1) 3. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როლებისა და მოვალეობების გადანაწილებაში; სურვილისამებრ და რათქმაუნდა მასწავლებელთან ერთად განიხილავენ თუ ვინ რომელ პერიოდზე იმუშავებს 4. მოსწავლეები იძიებენ ინფორმაციას კლასიკური მუსიკის პერიოდებისა და ცნობილი კომპოზიტორების შესახებ, ასევე მათ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

	5. მოსწავლეები იძიებენ შესამაბის რესურსებს, კონკრეტულ ინფორმაციას, მასწავლებელი ეხმარება რესურსების მოძიებაში, მასწავლებელთან ერთად განიხილავენ ინფორმაციას და აჯამებენ რა იქნება მათთვის მნიშვნელოვანი და გამოსაყენებელი პროექტში; რაზე გააკეთებენ ძირითად აქცენტებს; 6. მასწავლებელი ჯერ ეტაპობრივად ხვდება მოსწავლეებს ინდივიდუალურად და განიხილავს მუშაობის მსვლელობას, საჭიროების შემთხვევაში აძლევს რჩევებს, შემდეგ კი აერთიანებენ და განიხილავენ მთლიანობაში; 7. მოსწავლეები მუშაობენ პრეზენტაციაზე Power Point საპრეზენტაციო პროგრამის გამოყენებით აკეთებენ პოსტერებს 8. პროექტის შეჯამება; მოეწყობა პროექტის პრეზენტაცია და განხილვა კლასში 9. მოსწავლეთა შეფასდებიან რუბრიკის მიხედვით(იხ. დანართი 1), შემდეგ კი შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას (იხ. დანართი 2)
შეფასების ფორმები	• განმავითარებელი (პროექტის მსვლელობისას) • განმსაზღვრელი (პროექტის დასრულებისას, წინასწარ შედგენილი რუბრიკის მიხედვით იხ.დანართი 1)
პროექტის ხელმძღვანელი (მასწავლებელი)	მაკა ლიკლიკაძე
ხელმძღვანელის ელ.ფოსტა	maka.liklikadze@gmail.com
პროექტის ვებ-გვერდი	www.mzekabani.edu.ge

დანართი 1

პროექტის შეფასების რუბრიკა

აქტივობა	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
პროექტის მსვლელობა ში ჩართულობა	მოსწავლე არ არის ჩართული პროექტის მსვლელობა ში	მოსწავლეს უჭირს პროექტის მსვლელობა ში ჩართვა	მოსწავლე ნაწილობრივ ერთვება პროექტის მსვლელობაში, ცდილობს მასზე დაკისრებული დავალების შესრულებას	მოსწავლე ერთვება პროექტის მსვლელობაში, ასრულებს მასზე დაკისრებულ დავალებას, მაგრამ ზოგჯერ თავს იკავებს დახმარება გაუწიოს კლასელებს	მოსწავლე აქტიურად ერთვება პროექტის მსვლელობაში, წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ დავალებას, ეხმარება კლასელებს დასახული მიზნის მიღწევაში
პროექტისათვ ის საჭირო რესურსების შექმნა	მოსწავლე ვერ ქმნის პროექტის თვის საჭირო რესურსებს	მოსწავლეს უჭირს პროექტისთვი ს საჭირო რესურსების შექმნა	მოსწავლე ნაწილობრივ ჰქმნის პროექტისათვის საჭირო რესურსებს, ხშირად საჭიროებს დახმარებას	მოსწავლე დამოუკიდებ ლად ჰქმნის პროექტისათ ვის საჭირო რესურსებს, იშვიათად საჭიროებს დახმარებას	მოსწავლე წარმატებით ჰქმნის პროექტისათვის საჭირო რესურსებს, თავად არ საჭიროებს დახმარებას და ეხმარება სხვებს

პრეზენტა ცია	ვერ ახდენს წარსადგენი თემის პრეზენტაცი ას	უჭირს პრეზენტაციის გაკეთება, კონტაქტის დამყარება აუდიტორიას თან	ცდილობს წარსადგენი თემის პრეზენტაციას, აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას, საუბრისას უშვებს შეცდომებსდა ზოგჯერ აზრი გაუგებარია, ვერ იცავს დროის ლიმიტს	აკეთებს წარსადგენი თემის პრეზენტაციას, ფლობს აუდიტორიასთან კონტაქტს (იყენებს მიმიკას,ჟესტი კულაციას,ინტონ აციას) საუბრისას უშვებს შეცდომებს, თუმცა აზრი გასაგებია, იცავს დროის ლიმიტს	კარგად ახდენს წარსადგენი თემის პრეზენტაციას, ფლობს აუდიტორიასთან კონტაქტს (იყენებს მიმიკას,ჟესტიკუ ლაციას,ინტონაცია ს) საუბრობს გამართულად, არუშვებს შეცდომებს, იცავს დროის ლიმიტს

დანართი 2

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

1. პროექტზე მუშაობამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება?

   ა) დიახ; ბ) არა;

2. გასწავლა თუ არა რაიმე ამ პროექტზე მუშაობამ?

   ა) დიახ, ბევრი რამ მასწავლა; ბ) არა, ახალი თითქმის არაფერი მისწავლია;

3. შეიცვალა თუ არა ამ პროექტზე მუშაობისას კლასელებთან ურთიერთობა?

   ა) ბევრად უკეთესი გახდა, სასიამოვნო იყო ერთად მუშაობა;

   ბ) ისეთივე დარჩა, როგორიც იყო;

4. "მასწავლებელმა მიჩვენა და მომცა მითითებები თუ როგორ უნდა მემუშავა პროექტზე".

   ა) სავსებით ვეთანხმები; ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები; გ) არ ვეთანხმები.

5. "როდესაც მხარში დგომა მჭირდებოდა, მასწავლებელი და კლასელები ყოველთვის ჩემ გვერდით იყვნენ".

   ა) სავსებით ვეთანხმები; ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები; გ) არ ვეთანხმები.

6. აქტიურად იყავი ჩართული პროექტის წარმატებით წარმართვის პროცესში?

   ა) დიხ; ბ) ნაწილობრივ; გ) არა;

7. შედეგებით კმაყოფილი ხარ?

   ა) დაიხ, კმაყოფილი ვარ; ბ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ; გ) არ ვარ კმაყოფილი;

8. ყველაზე მეტად რას შეაქებდი ან გააკრიტიკებდი პროექტში?

ქება:----------